



თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 11

„29“ თებერვალი 2016 წელი

სააუქციონო პირობების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად,

1. გიორგი ებიტაშვილს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შექმნისას ნაკისრი პირობების შესრულების ვადა გაუგრძელდეს 2018 წლის 22 აპრილამდე (2014 წლის 22 აპრილს თელავის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით განკარგვის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის მიერ ჩატარებული აუქციონი, თელავის მუნიციპალიტეტსა და გიორგი ებიტაშვილს (პირადი №20001057851) შორის 2014 წლის 22 აპრილს დადებული პირობიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №3-ით ნაკისრი, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე 240 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კოდი №53.08.42.127) შესასრულებელი სააუქციონო პირობები (ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლა)).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაკატა გიორგობიანი